



წყობი და მომართველი ამოგინდებდა, ათასი დაგეხმარება, — და თუ კეთილი გზა აირჩიე, საზოგადოების საკეთილ-დღეო რაზმა გასურს შეასრულო, ყველანი გადაგელობებინ, ყველა ხელს შეგიშლის, ყველგან დაბრკოლება მოგელის!

რამდენი პატარა ბიჭები, ქუჩის ბიჭები დაწინააღმდეგებენ ჩვენს ქალაქში! რას აკეთებენ ესენი დილიდამ საღამომდინ? შამარს თამაშობენ, პატარა პატარათი ქურდობას და უსაქმობას ეჩვენებენ, უფროსებისაგან ირყენებიან. აქედამე, ხასიათი უფუჭდებათ, და შემდეგში, როცა გაიზრდებიან, ამათი ცხოვრების დასასრული არის — ციხე და კატორღა!

ამათ რომ ახლა ყურის-მგდებელი, მზრუნველი ჰყავდეს, რომელმაც წერაკითხვა და ხელობა რამ ასწავლოს, უეჭველია. რომ ბოლოს კეთილი და საზოგადოებისათვის სასარგებლო ხალხი დადგებოდ.

როცა გაიზრდებიან ამ გვარ საბავშვო ცხოვრებაში და მერე რაიმე ავაზაკობას ჩაიდინენ, გამოუდგებიან ჩვენს კეთილ-ზნობისა და მშვიდობიანობის დამცველნი და პირველად ჩვენ დავიძახებთ:

— მოკი მაგას! ჯვარს აკეთი! ციხეში, კატორღა მაგას!

ზასაკვირველია, ღმერთმანი, რა მიგიციათ, რასა სთხოვთ? რა სწავლავანათლებლის საშუალება თქვენ მაგათ მიეცით? რა დახარჯეთ მაგათ გაზრდისათვის, მაგათ კაცად-კაცადის შექმნისათვის? ღღეს. სანამ ღროა, სანამ შესაძლებელია, რომ ნორჩი ყმაწვილი კეთილ გზაზე დააყენოთ, თქვენ განზე დგებართ, არავითარ ყურადღე-

ბას არ აქცევთ, არაფერზე არა ზრუნავთ და ბოლოს, როცა ადამიანი გაუფუჭდება, როცა იმის გასწორება ძნელდება, გამოხვალთ და იყვირებთ: თოკი მაგასაო!

სადაური წესი და კანონია! ჩვენი უბედურება ეს არის, რომ ცხვირით ვერ ვიყურებით, მხოლოდ დღევანდელ ცხოვრებით ვცხოვრობთ; როგორც ფრინველები არ ზრუნავენ ხვალისთვის, მომავლისათვის, ისე არც ჩვენ ვზრუნავთ...

ზემოხსენებულ შენიშვნის ავტორი სხვათა შორის სომხის სამრევლო სკოლებს მივითითებს. მანა, სანამ ჩვენ იმდენი შეძლება და საშუალება არა გვაქვს, რომ ყველგან საერო სკოლები გავმართოთ, არ შეიძლება, რომ ამ ღარიბ ხალხისათვის ჩვენს ეკლესიებთანაც ამ გვარივე სამრევლო სკოლები დამართოს? ჩვენმა მღვდლებმა უსაქმობისაგან არ იციან — რა ჰქნან, დილიდამ საღამომდინ ზოგიერთები ბულგარზე დაიარებიან და რა ცოდვა იქნება, რომ ამ კეთილ, სულის საქმეს მოჰკიდონ ხელი! სხვა არა იყოს — რა, თავის შემსაქცივარი საქმე მაინც ექმნებათ. წერაკითხვა რა ასწავლონ, ქუჩაში მაწინააღმდეგებენ და ცუდ მაგალითებს რომ მოაშრონ ბავშვები, ისიც კარგია.

ამას გარდა, განა ცოტაა ჩვენში მოკლილი ხალხი, რომელთაც ფულის მხრითაც და პირ-და-პირ სწავლითაც შეუძლიანთ ამ საქმეს შემწეობა აღმოუჩინონ? საღამოს სკოლები მაინც რომ გაიმართოს, ამას არც ბევრი ხარჯი მოუხდება და არც ბევრი ღრო.

ცუდათ გამოდის! მაშ რომელი ჯანდაბური სიტყვით გამოხატოთ? რადგანაც ეგ სიტყვა გამოსაცნობლად გაგვიხდა და თითონ ამ „თაობის“ მომავალიც გამოსაცნობია, ამიტომ დაეარქოთ — „გამოსაცნობი თაობა.“

სიტყვა „თაობა“ კი ადვილი მისახვედრია. ღრამბატკას რომ დავეძეაროთ, ის გვაჩვენებს, რომ „თაობა“ არს შეკრებითი სახელი არსებითი; აჩვენებს კრებას რამდენიმე თავებისას. მარტო თავებისას, თუ კიდევ სხვა რამისაც, ანუ საესე, თუ ცარიელი თავებისას — ამანვე ქართული ღრამბატკა არას ამბობს!

ახლა კი ვიცით, როგორ გავიგოთ „ახალი თაობა“: კრება საესეთა, ანუ ცარიელთა გამოსაცნობთა თავებთა. ბიჭოს! ეს კარგა ბლომი ტრეტული გამოუვიდა ჩვენ „ახალ თაობას“!...

ახლა ვინ შეადგენს „ახალ თაობას“? როგორ თუ ვინ შეადგენს: ბეო, მინას და კაპანაია! ბოლომთ ყოფილან! აწ სად არიან, ან რას მოქმედობენ? ახალი თავები მოსაკალავად წაიღეს, ე. ი. წავიდნენ მეცნიერების შესასწავლათ პეტერბურღში უმაღლეს ტრაქტირებში. ჰაიდა, მონონ-პეტრე, ავიშენდა ოჯახი!... აქ კი ცოტა ტრაქტირები იყო, ის ოჯახ დაქცეულები იმ სიშორეთ რომ არ წა-

სულიყვენენ?! აქაური ტრაქტირებიდან ატესტატები წაიღეს და იქაურ ტრაქტირებში უეგზემენიოთ მიუღიათ! მაშ! „ახალი თაობა“! ბესმით, თუ არა — „ახალი თაობა“? მაშ არა და უნივერსიტეტში შესვლისთვის თავებს დაიხრცავენ! *) ძალიან საჭიროა, პროფესორების ჯიყჯიყს თუ ყური არ უგდეს! იმათთვის ისიც კარაა, რომ პრუდონი და ბოკლი ზეპირათ იციან!... მაგრამ რა ქნან, რომ ჩვენი ხალხი ხელს არ უწყობს და არ შევლის! ისინი იქ უსაქმობაში (უკაცრაგათ, საქმეში უნდა მეთქვა) შიმშილით წყდებიან, ჩვენი ხალხი კი შემწეობას არ აძლევს! სულ დაავიწყდათ, რომ ისინი თავისთვის კი არა ზრუნავენ, მხოლოდ თავის ხალხზე! აბა ერთი ფულეები გაუგზავნეთ და ნახავთ, რა კაცებიც გამოვლენ, ანუ უკეთ ვთქვათ, იმ ფულეებიდან რა აქლემს გააკეთებენ!...

აი ამისთანა ხალხიც ურევია იმათში, „ახალ თაობას“ რომ ირქმევს... რა მუქარით, რა თავ-გამოდებით, რა

*) რასაკვირველია, ყველა ეს შეკრება იმ სიზარულთ ახალ-გაზრდებს, რომელნიც ძალიან ფარდებს აფრინან, და არა საზოგადოთ მოელს ხსენ-გაზრდობას, რომელსედაც დამკარებულებს ჩვენი ქვეყნის მომავალი ბედი, რომელნიც ჩვენს იმედს და ნუგეშს შეადგენენ.

მაგრამ რას ვამბობ! საშუალება ათასია, ღონის-ძიება ადვილად მოიპოვება, უსაქმო ხალხი ათასობით ითვლება, — მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ამ გვარ საქმეებისათვის ჩვენში გული არავის არ შესტკივა. დაუდევარ ქართველებად დაებადებულივართ, დაუდევრებად გვინდა ჩვენი წუთი-სოფლის ცხოვრება გავატაროთ...

ახალი ამბავი

სია საქმეებისა, რომელიც ხვალ ორშაბათის სხდომაზე უნდა განიხილოს ჩვენმა ქალაქის რჩევამ:

1881 წლის ქალაქის შემოსავალ-გასავლის ანგარიში;

წინადადება ქალაქის თავისა საქალაქო სახლის შეკეთების თაობაზე;

წინადადება ხმოს. სპიროვისა რკინის გზის სტანციასთან იარაღის გამართვაზე;

წინადადება ღუბერბატორისა ძუკიაში მიედნის გახსნის წინააღმდეგ;

მოხსენება მაშვეობისა გამსესებელ კასების შესახებ და სხვ.

ამ უკანასკნელ ხანებში ზანჯიდამ რამდენიმე ჯერობა ფქვილი, სიმინდი და ქერი ჩამოიტანეს ქალაქში. იმედია, რომ ეს გარემოება ცოტაც არის გააიფფებს ტფილისში პურს.

ღღეს, 2 ნოემბერს, იწყება მაჰმადიანების დიდი დღესასწაული „ძურბან-ბაირამი“. პირველის საღის დღის განსაჯობაში ამ დღესასწაულს მაჰმადიანები დიდის ამბით უქმობენ.

ზავეთს გოლას-ში იწყებოდა, ხმოს სამინისტრომ სახელმწიფო რჩევების წინადადება შეიტანაო, რომ ქალაქი ტფილისის მიეცეს 72,895 მან. იმ მიწისათვის, რომელიც შოთი-ტფილისის რკინის გზისათვის ჩამოჰტრეს ქალაქს. ეს ალაგი არის სულ 13,864 ოთხ-კუთხი საყენი, რომელიც საკუთრივ ტფილისის ვაგზალისათვის დაუჭერია რკინის გზის გამგეობას.

მოგვხსენებთ, რომ ეს ფული, რომელსაც ქალაქი დიდი ხანია მოელოდა, ქალაქის რჩევის გარდაწყვეტილებით, დანიშნულია იმ „საქალაქო საზოგადო ბანკისათვის“, რომლის დაარსების უფლება შარშან ითხოვა ქალაქმა.

უცხოეთი

ბალკანის სამთავროთა ზავი.

ბოლგარიის დეპუტატთა პალატის პასუხში მთავარის სატახტო სიტყვაზე, სხვათა შორის, მოხსენებულია მთავრის ალექსანდრე I მოგზაურობა სერბიაში და რუმინიაში, სადაც ისე პატივის-ცემით ეგებებოდნენ ამ ახლად განთავისუფლებული ქვეყნის ხელმწიფეს. ამ ნაირად მიღება და პატივის-ცემა, ნათქვამია პასუხში, უეჭველია სამ გვარტომობას ა გულის-წადილის ნამდვილი და უზაკველი გამომსახველია, და სანდო ამანააად ჩაითვლება მეგობრულის კავშირის დაცვისათვის მოხსენებულს ხალხებს შორის, რომელთაც ერთი და იგივე ისტორიული ინტერესი აქვთ წინა-მსროლოად.

დენ“ — რა გამოვიდა? რა გამოვიდა და ოთხ-ფეხა ჯოჯო, სხვა რა გამოვიდოდა!...

აწ კი სჯობს ამ ცოდვის შეილება-საც თავი დავანებოთ: მოლლას სიკვდილის შემდეგ ფლავი ველარას უშველის! მაინც ველოდოთ მომავალი რას იტყვის!... მხლა კი სჯობია ისე ჩვენში დაეტრიალდეთ!...

ლეულყო! შენ ხმა მომაცოლე და ვისაც ეძებ, მალე ვაპოვინებ!...

აბზუვლდი, ჩემო დულუკო, შევლას გამოგვრათ კლანჭია... იცოდე, ვისაც შეესახებთ, მას გაუხმება კანჭია!

მერე შეგვაყენებს ჩვენ ენა მჭვერი, მეტყველი, ვერც ყბედი; ჩვენ მას ვებრძვით, რომ უბედოთ ქვალად აღვუდგინოთ ბედი!

ასპარეზზედ გავიწვიოთ მოხუცი, ყრმა, კაცი, ქალი; შთხრათ: ყველას ძმურათ სცნობდეთ, ნუ გიდგებათ შურით თვალი!

ღღეს, პატარას — ჩვენ ვალი გვაქვს, რომ ერთ საგანს ვემსახუროთ; მინც ამაში თან არ გვიგრძნოს, სულ კინწის კვრით გავისტუმროთ...

თუ პილატის დეპუტატებს მათის ხალხის ნამდვილად, გონიერ წარმომადგენლებად ჩათვლით და მათგან საჭეუროდ გამოცხადებულ პასუხს — ხალხის ჭეშმარიტ გულის-ხმის პასუხად, მაშინ უნდა აღვიაროთ, რომ ზემოხსენებული პასუხი ძალიან შეესაბამება ბოლგარის ენობრივ პოლიტიკურს მდგომარეობას და ერთობ მოსწრებულს დროზედაც არის გამოთქმული. მართლაც, ბოლგარის, სერბის და რუმინის შორის ზავი ეხლა „არსობით“ საჭიროებას შეადგენს მათის საგარეო ცხოვრებისათვის და პოლიტიკურის არსებობისათვის. ის არეულ-დარეულობა, რომელიც, დღეს თუ არა, ხვალ მოჰყვება აღმოსავლეთის საქმეს, ამ სამს გვართობობას ჩანთქმით და თითქმის გაქარწყლებითაც ემუქრება, თუ მათ დროზედ არ შეჰკრეს ურთიერთ შორის ძმური ზავი და სიჩქარით არ მოიპოვებს ამის წინააღმდეგ ღონისძიებანი. სერბიას და რუმინიას თვალწინა აქვთ ავსტრიისაგან წარმოდგენილი კადნიერი მოთხოვნები, სადაც ტრაქტატის და ღუნიაზე ნავიჯობის თაობაზე, რომელიც მათ ნივთიერად გასალატაკებლად არიან მომართულნი. ბარდა ამისა რუმინიას კარგად უნდა ახსოვდეს ერთი სახელმწიფო, რომელიც მეგობრობა გაუწია ამ ორიოდ წლის წინად და ამისათვის... ჩამოართვა ჩინებული ლეკმა. რაც შეეხება ბოლგარიას, ის ჯერ კიდევ არ არის მთლად აღდგენილი და აღორძინებული: მისი მკვიდრი და უფრო მდიდარი ნახევარი, რომელსაც ეხლა აღმოსავლეთს რუმელიას უწოდებენ, ჯერ მომარტებულია მისგან

და დიდ-ხანსაც იქნება ასე, თუ თვითონ სამთავრომ რუმინისა და სერბის მხრით ზურგი და მხარი მტკიცედ არ გაიმდგრა. მხოლოდ ასე ხელ შემდგრების შემდეგ შეეძლება მას შეიერთოს „სისხლი სისხლისა და ხორცი ხორცისა თვისისა“ — სამხრეთი ბოლგარია.

მაგრამ ეტყობა, ამ სამს სამთავროებს კარგად გაუგიათ ყველაფერი ეს და საქმის სიწრფელითაც ასრულებენ, რომ მით თამამად შეეძლოს მათს განმთავისუფლებელ მეროპას უთხრან: „ჩვენ ვიგემეთ და ვიციით რაც შეუძლია „შობასს, ერთობასს, თავისუფლებასს.“

თხილისის სამკურნალო

ავათმეოფებს მიიღებენ დილის ცხრასათიდან ვიდრე ნაშუადღევს ჰიწველსათამდინ.

მ შ ა ბ ა თ ს: ექიმი გავრანსკი — ქალის ავათმეოფობის, ლისიცევი — შიგნულების ავათმეოფობის, როტინიანტი — ქალისა და ყმაწვილების ავათმეოფობის, სიურგეოფი და თვალის ავათმეოფობა, ბაზუკი — სურგების ავათმეოფობა, და შტემბარსკი — ვენერიულ და კანის ავათმეოფობისა.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ექ. მინკევიჩი — სიურგეოფი ავათმეოფობა, ყურაველი — ვენერიულ და კანის ავათმეოფობა, რეისი — თვალისა, ბაზუკი — გულისა და შინაგანის ავათმეოფობა, ბანუტოვი — ბუბისა, ქალისა და ყმაწვილის ავათმეოფობა, ვერმიშევი — შინაგანის ავათმეოფობისა.

მ თ ს შ ა ბ ა თ ს: გავრანსკი — ქალის ავათმეოფობა, ლისიცევი და რუდკოვსკი — შინაგანი ავათმეოფობა, სტეგანტუროვი — ალისა, შტემბარსკი — ვენერიულ და კანის, შამპანსკი — გულისა.

ზასივებულს ვერ ვინ ხედავს, რომ იმალვის... მტაცებ აწ ხელს! ზასკდეს, ქვეყანას შეფუყრი... (თუმც აქამდის არ ვინ ამხელს.)

საწყალს, უძლურს ყვლეფავს, გლეჯავს, იმის ტანჯვით, ოფლით სცხოვრობს... ბაუმადარს რა ვაძღობს: ღორი თავის დღეში ღორობს!

სად იტაცებს, სად სისხლსა ღვრის, მისა სწვავს, ვის ადენს ბოლსა; მითონ კი მეფურად სცხოვრობს, — ჯანი გავარდეს ობოლსა!

მიდი, თავი შეაბრალებ, შეხვეწე, სხობევი ძმობა: არა! იმას მეფობა სურს, შენ თუ გსურს, იკისრე ყმობა!

მკროს ტანტხედ თავს მეფედ გრძობს, არ რა აქვს გასაჭირია; იმას ველარ გრძობს უხნო, აწ სამშობლოს რა სჭირია!..

რა ექნათ, დრო გაქვს, იქიფევი ბოლოს არ ინანო შენა... მრთხელც ენახეთ, გიგონებდეს სამშობლო ხალხი და ენა!..

მაგრამა ათასი კიცხვა აწ უხნოთა — ფუჭია:

მათი გონება არრას გრძნობს, მთავლები დაუხუჭია!

ნუ დავერიდებით, ჩემო დუდუკო, ნურც იმ მალა მყვირალ ცრუ მაცებს, რომელიც (მითომ) მამულის შეილობას ჩემულობენ, დიდსა და დიდს თანხებს აძლევენ სამშობლოს; (მითომ) ენისა და ხალხის გაუკეთესობისათვის იღრწვიან, ძმობას და თანასწორობას ჰქადაგებენ, ებრალებათ და თანაუგრძობენ დაცემულს ხალხს მხოლოდ ცარიელის სიტყვით და იუდასებური თვალ-მაქცობით; საქმით კი მტერზედაც უარესნი არიან: ჩვენი ხალხის დამღუპველნი, ენის და სამშობლოს დამამცირებელნი, უსამართლოების ერთგულნი ყმანი და სხვ. და სხვ... ჰგონებ, ამ გვარი ხალხი ჩვენში დუფინობით მოიპოვება! არა უშავთ-რა, მაგათაც ოდესმე მოიგონებენ: შეაჩვენებს თვით განგება და მომავალი საფლავში გადააფურთხებს!..

ნუ შევიწყნარებთ ნურც იმ ღერწამ-ტანა, ცქრილა, პრანტია-მანტია, ბრეცია-გრეცია, ზნეობით დამახინჯებულთ, ყოველ გონიერ ჰაზრებ მიხდილთ-გოგმანა ჩვენ ქალებს, რომელთა ზრუნვაც მხოლოდ შემდეგშია: „რა ესვათ? რა ეტამოთ? რომელი

ს უ თ შ ა ბ ა თ ს: ყურაველი — ყელისა და გულის ტვივილის, როტინიანტი — ქალისა და ყმაწვილის ავათმეოფობა, ქიუხანტი — ვენერიულ და სანაძლე სსობის ავათმეოფობა, ვერმიშევი — შინაგანი ავათმეოფობისათვის.

შ ა რ ა ს კ ე ვ ს: გავრანსკი — ქალის ავათმეოფობის, მინკევიჩი — სიურგეოფის, ლისიცევი — შიგნულის, ბანუტოვი — ბუბის, ქალისა და ყმაწვილების ბაზუკი — სურგების და შიგნულების, სტეგანტუროვი — ვენერიულ და კანის, შტემბარსკი — ვენერიულ და კანის ავათმეოფობისათვის.

შ ა ბ ა თ ს: ყურაველი — ვენერიულ და კანის ავათმეოფობის, რეისი — თვალის ბაზუკი — გულისა და შიგნულების და ვერმიშევი — შიგნულისა.

ამას გარდა ექიმი ბ ა ბ ა კ ე ვ ი მუქთად სწამლავს ღარიბ ავათმეოფებს ოთხ-შაბათობით სსადამს 5 სსათიდან 9-დამ (სურგეოფის ქუჩა, ბანდუროვის სსალი).

დოქტორე ყურაველი მიიღებს ღარიბ ავათმეოფებს მუდამ დღე სსადამს 6 სსათიდან 7-მდინ სამკურნალოშივე.

კუბის ექიმი ო ბ რ ე ს ტ ი ავათმეოფებს, ვისაც სამკურნალოდამ ქადაგი ექნება, მუდამ დღე მიიღებს თავის სსალიში (გოლგოთის უბანში, ზარაფოვის სსალი).

მუდამ დღე, კვირას გარდა, დილის 9 სსათიდან 11-მდინ სამკურნალოში არის ბუბის ავათმეოფი ქალებისათვის.

განსხალებანი

ტ ფ ი ლ ი ს შ ი

შავარდოვის განხეთის საგანტო

(ბოლოვინის პროსპექტი, ალექსან-

დროვის ბალთან, შავარდოვის (ქუჩის ლიონში.)

დაიწყო ხელის-მოწერის დრო

1881 წლისათვის

შველა დრო-გამომგებითი გამოცემებზე რედაქციისგან გამოცხადებულ ფასებით: ადგილობრივზე, რუსულზე და სამხლერ-გარეთისაზე.

ბ.ბ. ქალაქ გარეშე მცხოვრებელთ ამ ადრესით უნდა ინებონ მომართვა: **Въ Тифлисъ, въ газетное агентство В. Шавердова.**

(25—1)

ჯ ა ნ ჯ უ ლ ა ზ ო შ ი ს საჭეუბნის კონსპირაციის უპრავლენის განკარგულებით ჯანჯულაზოვების დიდ მალაზიაში, ბოლოვინის პროსპექტზე, მირიანოვის სახლებში გაისყიდება სხვა-და-სხვა საქონელი და თუჯის ფეხები ნარდათ და ცალკ-ცალკე მუდამ დღე დილის 10 საათიდან ნა-შუადღევს 2 საათამდინ და საღამოს 5-დამ 8-მდინ.

კურატორი პ. ლეპაინსკი.

5—1

ინგლისის მაღაზიაში

თის ან-სერე ვანანი



პაუ-მან-ტერი

ამგრებს თმას და ადრინდელ ფერს ამღვეს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნილი 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე იხილება ქინის ჰომადა მთების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკებო თავის ტვივილის მოსასობლად, ტუალეტის სანანი, დუხები და სხვ.

(150—1)

კაბა ჩივიცვთ? ტოლღეს უნდა ჭაის კაბა შევაკერიო, ჩარახიანოვისგან უნდა პალევი ფერჩატები ვიყიდო, მანველოვისგან — მანჭეტები და ვარატიკები... მრეის, ქალოჯან, მშვენიერი ზონტიკები მოსვლია უკანასკნელი პარიჟის მოდისა, ოც-და-ხუთ მანეთიანი კორსეტები ძალიან კარგისა არის... ალალო მეწვირლმანეს: შუშ-ტაკი, კევი, ლილა, ლახუსტაკი და სხვანი... ახლა ახალი სევა: „ძრუ-ქოკში წავიდე, თუ საბრანიაში მისთან ვიტანცავო?... იმას რა მშვენიერი ულვაშები აქვს, ამას ბერძნული სურათი ცხვირი, ამას თეთრი ხელები, ამას ის და ამასაც ის... რომელი იზოშიკი დავიჭიროთ? მანკა! არა, მიშკა! არა, მარაბეი! არა, ანდრიუ-შა!..

ახლა თქვენ ჰკითხეთ ამ ოჯახის ამშენებლებს: მაგათი მხარეული გაკეთებულ სუბსა ყიდულობს ყანბისაგან, თუ ხორცი მოაქვს და შინ აკეთებენ? მათგები და ინდაურები შემწვარი იჩიკებიან, თუ შესაწველები? ძროხები მაწონს იწველიან, თუ რძეს? (იქნება მახოსაც იწველიდნენ, ვინ იცის!) მათამი წიწილებს სდებს, თუ კვერცხებს?... ჭაბრიკებში გამოჭრილი მატერია კეთდება, თუ გამოსატრელი? მს, ესთქვათ, საძნელოა, უფრო აღ-

ვილები ჰკითხეთ: თქვენი ძმა სად სწავლობს? — არ ვიცი! რომელიკლასშია? — არ ვიცი! რა საგნებს ასწავლიან? — არ ვიცი! მასწავლებლები რა გვარები არიან? — თუ ლამაზია — ვიცი! ღირეკტორს რა ჰქვია? — იმ, თვალის გამოსტყულებია, რა ჩემი საქმეა, ჩემმა ძმამ უნდა იცოდეს!..

აბა ახლა ჰკითხეთ: მანველოვს რა ჰქვია? — იგან სტეფანი! მრეის? — ჩრიღობს მადერიჩი! ჩარახიანოვს? — ძირაკუზ მარტირუხიჩი! იხვოსიჩს? — ანდრეი საველიჩი! ძრუქოვის სტოროვს? — სტანისლაფა!.. აკი არა იციან რაა?! როგორ არ იციან! მრეის პრიკასიჩსედ უკეთესად იციან, რამდენი შესავალ-გასავალი აქვს მალაზიას! მანველოვისა ხომ სულ დაწვრილებით იციან სად რა ულაგია!.. რა ენახედ ლაპარაკობენ? რულულოს და დაგლე-ჯილ ფრანციულ ენახედ! მართული? მართულის სადილს შემდეგ ხმარობენ... შესაქმობის გამო! მართულ თეატრში რატომ არ დადიან? მართულ თეატრში ცივა, გაციების ეშინიანთ! „სან-სუსის“ ბაღში რომ დადიან? რა უყოთ, იქ თბილა, ფეხებს ანთებენ!..

31 ოკტომ.

